პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ კვირა 29 იანვარი, 1978 წ. □ № 25 (17069) □ ფასი 2 კაპ.

1920 □ გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან □ 1978

შვიდი კვირა კოსმოსში

ფრენის მართვის ცენტრი, 28 იანვარი. (საკ-დესი). მოავრდება იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს ორბიტული ფრენის მეშვიდე კვირა. კოსმოსში ხანგრძლივი ყოფნის პერიოდში ორივე კოსმონავტის ფიზიოლოგიური მაჩვენებლები პრაქტიკულად სტაბილიზებულია და შეესაბამება დედამიწაზე ყოფნისას არსებული ფიზიოლოგიური მაჩვენებლების დონეს.

ექიმები, რომლებიც თვალს ადევნებენ კოსმონავტთა ჯანმრთელობას, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს დიდი შრომისუნარიანობა და კარგი განწყობილება აქვთ. ეკიპაჟის გუშინდელმა კომპლექსურმა სამედიცინო გამოკვლევამ კვლავ დაადასტურა, რომ კოსმონავტები ჯანმრთელად არიან. მეთაურის მაჯისცემის სიხშირე წუთში არის 63, ბორტინჟინრისა — 69, ორტიული წნევა შესაბამისად — 135/65 და 130/56.

დღეს პილოტირებულ კომპლექსში გრძელდება სამუშაოები, რომ „სალუტ-6“ სადგურის სათბობის სისტემა მომზადდეს კმაგაწყობისათვის, წარმოებს საწვავის ავზებიდან საბერი სისტემის შეკუმშული გაზის გადატუმბვა. კოსმონავტები განაგრძობენ აგრეთვე „პროგრეს-1“ ხომალდის განტვირთვას და ამინავებენ კომპლექსში მიტანილ მოწყობილობას, აპარატურასა და სხვა ტვირთს.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების მიხედვით, სადგურისა და ორივე ხომალდის ყველა საბორტო სისტემა ნორმალურად მუშაობს.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ — „პროგრეს-1“ ორბიტული კომპლექსის ფრენა გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა
გვაწვდიან ბიბლიოთეკა

საიუბილეო წლის მიჯნები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ ხკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება აღნიშნეს შემდგომი წარმატებებით ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე 1977 წელს უზრუნველყოფილია ხაზოგადოებრივი წარმოების მასშტაბისა და ეფექტიანობის ზრდა. თანამიმდევრულად სრულდებოდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა.

სახალხო მეურნეობის განვითარების გასული წლის ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1977 წელი პროცენტობით 1976 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	103,5
მრეწველობის პროდუქცია — სულ	105,7
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	106
მოხმარების საგნების წარმოება	105
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	103
ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	103,7
ძირითადი ფონდების ამოქმედება	103
კაპიტალური დაბანდება — სულ	103
მათ შორის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება	104
მუშა და მოსამსახურეთა რიცხვი	102,1
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	104,1
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოება)	104,3
მშენებლობაში	103,1
რკინიგზის ტრანსპორტზე	100,3
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესადარი ფასებით)	106
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	103,5
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	104,7
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	102,7
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	104,3
მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარება და შეღავათები	104,7
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	104,4
მოსახლეობისათვის გაწეული საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა	106
ხალხთა ფართობის საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემა	103
საგარეო ვაჭრობის ბრუნვა	111

გრძელდება მუშაობა **მეცნიერების და ტექნიკის** განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვისათვის. 1977 წელს:

შეიქმნა ახალი ტიპის მანქანა-მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ნიმუშები	4 ათასი დასახელებისა
დაიდგა სამრეწველო საწარმოებში მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზები	12 ათასი კომპლექტი
გადაყვანილია კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციაზე უბნები, საამქროები, წარმოებები	5 ათასი
შეიქმნა აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები.	300 სისტემაზე მეტი
მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები	190 სისტემა
დაინერგა გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება	4,2 მილიონი

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით ხალხსა მეურნეობაში დაიზოგა 3 მილიონზე მეტი კაცის შრომა.

1977 წელს ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 398 მილიარდი მანეთი და წლის მანძილზე გაიზარდა 13,5 მილიარდი მანეთით. ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯებს, უშუალოდ სახალხო კეთილდღეობს მოხმარდა ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი.

მრეწველობის პროდუქცია 1976 წელთან შედარებით 30 მილიარდი მანეთით გაიზარდა და მიაღწია 562 მილიარდ მანეთს (1975 წლის 1 იანვრისათვის მოქმედი საწარმოო საბითუმო ფასებით).

სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1977 წელს შეადგინა 123,6 მილიარდი მანეთი. რაც თითქმის 9 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის საშუალო-წლიურ წარმოებას.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა დაახლოებით 110 მილიარდი მანეთის საერთო ღირებულების **ძირითადი ფონდები.**

საბჭოთა კავშირის **საგარეო-სავაჭრო** ბრუნვამ დაახლოებით 63 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ბრუნვამ გადაამეტა გრძელვადიანი შეთანხმებებით 1977 წლისათვის გათვალისწინებული მოცულობას.

I. მრეწველობა

მრეწველობის პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

წარმოების მატებამ 1976 წელთან შედარებით შეადგინა 5,7 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 5,6 პროცენტის ნაცვლად. ქვემოთ მოყვანილია მონაცემები მრეწველობის ცალკეული დარგების შესახებ.

	1977 წელს წარმოების მოცულობა პროცენტობით 1976 წელთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	103
სათბობის მრეწველობა	104
შავი და თუთრადი მეტალურგია	102
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	107
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	109
ხე-ტყის, ხისდამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	103
საშენ მასალათა მრეწველობა	103
მსუბუქი მრეწველობა	104
კვების მრეწველობა	105
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო მოხმარების საქონლის წარმოება	108

მხოლოდ სარისხის ნიშნით!

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საქსოვი საამქროს მოწინავე მქსოველები — კომკავშირელები რ. ბალიმეა და ნ. წიქარაძე. ისინი დღეში 45 მეტრის ნაცვლად 55-60 მეტრ მაღალხარისხოვან აბრეშუმის ქსოვილს უშვებენ.

ს. კილაძის ფოტო.

შეჯიბრების დღიური

თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის კონვეიერიდან ყოველ წუთ-ნახევარში ნამოდის მზა გაბქურა. ასეთი მწარმოებლურობა მიღწეულია მთელი რიგი საამქროებისა და უბნების განახლების, საწარმოო სიმძლავრეების გადიდების შემდეგ.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში“ შეიქმნა საიმედოობის განყოფილება. იგი დაკომპლექტებულია კვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებმაც სახელი გაითქვეს. განყოფილების კოლექტივმა უნდა შეათანხმოს ამ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემისა და საწარმოო სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ახლახან „ფილიპ-მორისის“ მისამართით გაგზავნა 300 ტონა თამბაქო „სამსუნი“. ეს ცნობილი ამერიკული ფირმა ქართული თამბაქოს მუდმივი მომხმარებელია, ფირმის საწარმოებში ამ თამბაქოსაგან მზადდება უმაღლესი ხარისხის სიგარეტები.

საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნა თბილისის კერამიკული კომბინატის ექსი სახეობის ნაწარმი. ესენია ყვავილებისა და ხილის ლარნაკები, შადლები, ღვინის დოქი. კომბინატის პროდუქციას ყიდულობს ბევრი ქვეყანა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

„სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის“ საიუბილეო მედლის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს საიუბილეო მედალი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წელი“.

2. დამტკიცდეს დებულება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის“ საიუბილეო მედლის შესახებ.

3. დამტკიცდეს „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის“ საიუბილეო მედლის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1978 წლის 28 იანვარი.

ცეცხლოვანი დღეების შესახებ

პირველი დღიდან გამარჯვებამდე ომობდა ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი. მრავალი წელია ლეონიდ ილიას ძე ილებს წერილებს ხსოვდახსოვ ასაკისა და პროფესიის ადამიანებისაგან — საბჭოთა კავშირიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რომლებშიც სთხოვენ გაუზიაროს მოგონებანი ომის წლების შესახებ.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოგონებებით „მცირე მიწა“ იწყება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ნოვი მირის“ თებერვლის ნომერი.

„ოფიციალურ ანგარიშებში, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, მაგრამ 1418 ცეცხლოვანი დღე-ღამე დაუვიწყარია. იყო ეპიზოდები, შეხვედრები, ბრძოლები. იყო ისეთი ფუთები, რომლებიც, ისევე როგორც ყველა ფრონტელს არასდროს დამავიწყდება“.

სწორედ ამ ცეცხლოვან ხანაზე გვესაუბრება „მცირე მიწის“ ავტორი.

„ნოვი მირის“ ნომერში გამოქვეყნებულია საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალები. პოეტები, პროზაიკოსები, პუბლიცისტები გვესაუბრებიან ომზე და სამშობლოს დამცველთა ღვაწლზე ცხოვრებაზე.

„ნოვი მირის“ მეორე ნომერი ეგზავნებათ ხელის მომწერლებს.

(საკ-დესი).

ალვზარდოთ მუშათა კლასის ლირსეული ცვლა

27-იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა აქტივის კრება რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბაზო სამინისტროების, განათლების სამინისტროს სისტემის წარმომადგენლებთან ერთად.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები **გ. კოლბინი, თ. მენოეშაშვილი, ვ. სირაძე, ე. შარტავა, ო. ჩერქეზია, ნ. ჭითანავა,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ბულგაკოვი,** სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოების პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები **ს. მიქაელიანი** და **ტ. ალიევი.**

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ.**

შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის** მეთაურობით.

(დასასრული მე-3 გვ.).

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 4,1 პროცენტით; შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია წარმოების მატების სამ მეოთხედზე მეტი. გასულ წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის **თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ** დაახლოებით 2 მილიარდი მანეთი შეადგინა. **მოგება** გაიზარდა 7 პროცენტითა და მეტად.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას, წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ცალკეული სამინისტროებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1977 წელი პროცენტობით 1976 წელთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები			
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის	100,9	103	100,7
ნავთობის მრეწველობისა	101	105	104
ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობისა	100,8	105	104
გაზის მრეწველობისა	103	108	108
ქვანახშირის მრეწველობისა	102	102	100,6
შავი მეტალურგიისა	98	102	101
ფერადი მეტალურგიისა	100,2	102	101
ქიმიური მრეწველობისა	100,2	107	105
მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა	100,4	105	105
ენერგეტიკული მანქანათმშენებლობისა	100,6	106	103
ელექტროტექნიკური მრეწველობისა	100,8	107	105
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობისა	100,4	108	106
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობისა	100,6	110	107
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა	101	111	110
საავტომობილო მრეწველობისა	102	108	107
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა	101	106	106
მეცხოველეობის და საკვებწარმოებისათვის განკუთვნილი მანქანათმშენებლობისა	102	110	107
საშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობისა	100,8	105	104
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობისა	100,7	107	106
ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობისა	100,9	103	103
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობისა	101	104	103
საშენ მასალათა მრეწველობისა	100,2	103	102
მსუბუქი მრეწველობისა	100,7	104	103
კვების მრეწველობისა	100,6	103	103
ხორცისა და რძის მრეწველობისა	98	108	106
თევზის მეურნეობისა	101	98	97
დამზადებისა	102	104	102
სამედიცინო მრეწველობისა	102	110	108
მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველო	100,9	111	106
მოკავშირე რესპუბლიკები (საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობის ჩათვლით)			
რუსეთის სფსრ	101,1	105,1	104,0
უკრაინის სსრ	101,3	105,7	103,7
ბელორუსიის სსრ	101,6	108,3	105.6
უზბეკეთის სსრ	102,9	104,9	103,3
ყაზახეთის სსრ	101,4	104.0	101,9
საქართველოს სსრ	102,4	107,1	105,4
აზერბაიჯანის სსრ	102,6	107,8	104,3
ლიტვის სსრ	101,4	104,3	102,7
მოლდავეთის სსრ	101,7	105,7	102,7
ლატვიის სსრ	101,6	104.0	103,0
ყირგიზეთის სსრ	101.2	104,0	102,4
ტაჯიკეთის სსრ	101,8	105,4	101,5
სომხეთის სსრ	102,3	107,5	103.5
თურქმენეთის სსრ	101,4	102,0	99,9
ესტონეთის სსრ	101,9	103,1	102,6

გაუმჯობესდა საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. ელექტროსადგურებში სათბობის ხვედრითი ხარჯვა 1976 წელთან შედარებით 0,7 პროცენტით შემცირდა. შავ მეტალურგიაში 0.5 პროცენტით გაუმჯობესდა ბრძმედების სარგებლობის მოცულობის გამოყენება. გადიდდა ფოლადის საშუალო-სადღეღამისო ანართმი მარტინის ღუმელებს ქვედის თართობის ერთ კვადრატულ მეტრზე. ფოლადის გამოდნობა ძანგზადის კონვერტორებს ერთი ტონა ტვირთადობიდან 5 პროცენტით გაიზარდა. მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების საათობრივი მწარმოებლობა ცემენტის მრეწველობაში 2 პროცენტით გადიდდა. რამდენადმე გაიზარდა სართავი და საქსოვი მოწყობილობის მწარმოებლობა.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება მესამედით გადიდდა. წლის დამლევისათვის ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ჰქონდა 48.2 ათას ნაწარმს, ათვისებულია და დაიწყო 3,5 ათასზე მეტი დასახელების ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება. წარმოებიდან მოიხსნა 1,8 ათასი დასახელების მოძველებული კონსტრუქციების მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ნაწარმი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:

	წარმოებულია 1977 წელს	1977 წელი პროცენტობით 1976 წელთან შედარებით
ელექტროენერგია — მილიარდი კილოვატსაათი	1150	103
ნავთობი (გაზის კონდენსატის ჩათვლით)—მილიონი ტონა	546	105
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	346	108
ქვანახშირი — მილიონი ტონა	722	102
თუჯი — მილიონი ტონა	107	102
ფოლადი — მილიონი ტონა	147	101
შავი ლითონების ნაგლინი — მილიონი ტონა	118	100
აქედან მზა ნაგლინი	102	100,7
ფოლადის მილები — მილიონი ტონა	17,0	101
რკინის მადანი — მილიონი ტონა	240	100,3
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეული) — მილიონი ტონა	96,7	105
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები (პირობითი ერთეული) — ათასი ტონა	487	104
100-პროცენტიანი კალცინირებული სოდა — მილიონი ტონა	4,9	100,7
100-პროცენტიანი კაუსტიკური სოდა — მილიონი ტონა	2,7	102
გოგირდმჟავა — მილიონი ტონა	21,1	105
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — მილიონი ტონა	3,3	108
ქიმიური ბოჭკოები და ძაფები — ათასი ტონა	1088	107
ავტომობილები — მილიონი ცალი	57,4	105
სინთეზური სარეცხი საშუალებები — ათასი ტონა	825	99,6
ტრაქტორები — მილიონი კილოვატი	18,9	96
ტრაქტორების გენერატორები — მილიონი კილოვატი	18,1	109
ცალკადგენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	47,8	101
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	236	102
მილიონი მანეთისა	1593	109
ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო რაოდენობიდან რიცხობრივი პროგრამული მართვის ჩარხები — ათასი ცალი	6,3	107
სამეჭედლო-საწნეხი მანქანები — ათასი ცალი	54,3	104
მილიონი მანეთისა	461	108
ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	4,1	112
გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები — მილიარდი მანეთისა	2,8	125
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასი ტონა	372	101
ქვანახშირის საწმენდი კომბაინები — ათასი ცალი	1,2	97
გვირაბგასაყვანი კომბაინები — ცალი	526	102
ნავთობაპარატურა (საჰაერო გაცივების აპარატების გარდა) — ათასი ტონა	171	104
ქიმიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	667	107
მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	669	107
კვების, ხორცი-რძისა და თევზის მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და მისი სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	508	107
სამაგისტრალო თბომავლები — მილიონი ცხენის ძალა	3,7	91
სამაგისტრალო ელმავლები — მილიონი ცხენის ძალა	3,3	104
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები — ათასი ცალი	71.2	99
ავტომობილები — ათასი ცალი	2088	103
აქედან:		
სატვირთო —	734	103
მსუბუქი	1280	103
ტრაქტორები:		
ათასი ცალი	569	101
მილიონი ცხენის ძალა	45,4	103
მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანები — მილიარდი მანეთისა	1,8	109
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანების გარდა) — მილიარდი მანეთისა	2,3	105
მარცვალასაღები კომბაინები — ათასი ცალი	106	104
ბამბის საკრეფი მანქანები — ათასი ცალი	8,7	108
ექსკავატორები — ათასი ცალი	41,5	103
სამასალე მერქანი (კოლმეურნეობათა მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა) — მილიონი მჭიდრო კუბური მეტრი	293	98
ცელულოზა — მილიონი ტონა	7,4	103
ქაღალდი — მილიონი ტონა	5,5	101
მუყაო — მილიონი ტონა	3,6	102
ცემენტი — მილიონი ტონა	127	102
ასაწყობი რკინა-ბეტონი — მილიონი კუბური მეტრი ნაკეთობა	121	102
შიფერი — მილიარდი პირობითი ფილა	7,3	90
რბილი სახურავი მასალები და იზოლი — მილიარდი კვადრატული მეტრი	1,8	97
ყველა სახეობის ქსოვილები — მილიარდი კვადრატული მეტრი	10,4	101
აქედან:		
ბამბის	6,8	100,5
შალის	0,8	101
სელის	0,8	101
აბრეშუმის	1,6	103

საუბილეო წლის მიჯნაები

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	20,6	104
ტრიკოტაჟის საცვლები და ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	1511	103
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	735	102
ხორცი — სულ მილიონი ტონა	14,8	109
აქედან სპირწყვილო ჯამმოუშვებისა	9,1	109
ძეხვეული — მილიონი ტონა	3,0	102
სასურსათო თევზეული, აქედან თევზის კონსერვები — მილიარდი მანეთისა	4,5	101
კარაქი — მილიონი ტონა	1,4	111
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონი ტონა	24,3	104
მშრალი რძე და მშრალი ნაღები — ათასი ტონა	354	108
შაქრის ჭარხალი — მილიონი ტონა	12,0	130
მცენარეული ზეთი — მილიონი ტონა	2,9	106
საკონდიტრო ნაწარმი — მილიონი ტონა	3,5	104
ნატურალური ჩაი (ნარეულ ჩაი) — ათასი ტონა	156	108
კონსერვები — მილიარდი პირობითი ქილა	15,0	104
კომბინირებული საკვები — მილიონი ტონა	51	110
საათები — მილიონი ცალი	60,7	105
ფაიფურ-ქაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი — მილიონი ცალი	1067	102
ნორტული ჭურჭელი (მინის და ბროლის) — მილიონი მანეთისა	329	111
რადიომიმღებები და რადიოლები — მილიონი ცალი	8,7	102
აქედან ნახევარგამტარიანი ხელსაწყოებით	5,9	106
ტელევიზორები — მილიონი ცალი	7,1	100,1
აქედან ფერადი გამოსახულების პროგრამების მისაღებად	1,1	138
მაცივრები — მილიონი ცალი	5,8	99,6
სარეცხი მანქანები — მილიონი ცალი	3,6	104
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	1089	103
ავეჯი — მილიარდი მანეთისა	4,6	107

გაიზარდა ფერადი და იშვიათი ლითონების, ნავთობქიმიის, ნავთობგადამუშავების. პროდუქტებისა და სხვა საბეობათა პროდუქციის წარმოება.

გაიზარდა უმნიშვნელოვანეს სასარგებლო წიაღისეულთა დაზვერული მარაგი.

თუმცა მთლიანად მრეწველობის მუშაობის შედეგები დადებითია, ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის, გათვალისწინებული ასორტიმენტით მისი გამოშვების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების, მატერიალური რესურსების დაზოგვის დადგენილი დავალებანი. ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი პროდუქციის სათანადო ხარისხი, არის მიწოდების ვალდებულებათა დარღვევები.

მთლიანად ვერ შესრულდა შავი ლითონების ნაგლინის, მინერალური სასუქების, სატვირთო ვაგონების, სამასალე მერქნის, ცემენტის, ქსოვილების, მაცივრების, ხორცისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა.

ზოგიერთ ახლად ამოქმედებულ ობიექტში ნელა ითვისებენ პროდუქციის გამოშვების, თვითღირებულების, შრომის ნაყოფიერების საპროექტო მაჩვენებლებს.

ცალკეულმა სამინისტროებმა მთლიანად ვერ შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის დავალებანი.

II. სოფლის მეურნეობა

1977 წელს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ამინდის რთულ პირობებში გაადგეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა, რომელიც 1976 წელთან შედარებით 3,5 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (მილიონი ტონა):

	1971-1975 წლები (საშუალოდ წელიწადში)	1976 წელი	1977 წელი
მარცვლეული	181,6	223,8	195,5
ხამი ბამბა	7,67	8,28	8,76
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	76,0	99,9	93,3
მზესუმზირა	5,97	5,28	5,87
კარტოფილი	89,8	85,1	83,4
ბოსტნეული	23,0	25,0	23,0

ზორბალი აღებულია 92 მილიონი ტონა, სამარცვლე სიმინდი — 11 მილიონი ტონა, ბრინჯი — 2,2 მილიონი ტონა.

უკრაინის სსრ მიწათმოქმედებმა უხვი მოსავალი მოიწიეს და წარმატებით შეასრულეს მარცვლეულის წარმოების სოციალისტური ვალდებულებანი. მარცვლეულის მოსავალმა 48,6 მილიონი ტონა შეადგინა. რესპუბლიკის მეჭარხლეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 50 მილიონ ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი.

ქვეყანაში მოწეულია ბამბის რეკორდული მოსავალი. უზბეკეთის სსრ მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 5,7 მილიონი ტონა, თურქმენეთის სსრ მეურნეობებმა — 1,2 მილიონი ტონა, ტაჯიკეთის სსრ მეურნეობებმა — 0,9 მილიონი ტონა ხამი ბამბა.

მიმდინარე წლის საშემოდგომო სამარცვლე კულტურების მოსავლისათვის დაითესა 37 მილიონი ჰექტარი, მზრალად მოხნულია 114 მილიონი ჰექტარი.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააჩაღეს საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. მეურნეობები მომარაგებული არიან საგაზაფხულო კულტურების თესლით, მათს უმრავლესობაში დადარჩენილია კონდიციური თესლი. მნიშვნელოვან ფართობებზე ეწყობოდა ტენსაგროვებელი რწყვა; სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეკეთების სამუშაოები.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ შეადგინა (მილიონი სული):

	1 იანვრისათვის 1977 წ.	1978 წ.
ყველა კატეგორიის მეურნეობები		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	110,3	112,5
აქედან ძროხა	42,0	42,6
ღორი	63,1	70,3
ცხვარი და თხა	145,3	146,2
კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	87,5	89,3
აქედან ძროხა	28,6	29,3
ღორი	51,3	55,6
ცხვარი და თხა	116,5	117,3
მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობები		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	22,8	23,2
აქედან ძროხა	13,4	13,3
ღორი	11,8	14,7
ცხვარი და თხა	28,8	28,9

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1971-1975 წლები (საშუალოდ წელიწადში)	1976 წელი	1977 წელი
ხორცი (ნაკლავი წონა)—მილიონი ტონა	14,0	13,6	14,8
რძე — მილიონი ტონა	87,4	89,7	94,8
კვერცხი — მილიარდი ცალი	51,4	56,2	61,0
მატყლი — ათასი ტონა	442,1	435,5	458,0

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება 1976 წელთან შედარებით გაიზარდა: ხორცისა — 9 პროცენტით, რძისა — 6, კვერცხისა 8 და მატყლისა — 5 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგინა:

	1971-1975 წლები (საშუალოდ წელიწადში)	1976 წელი	1977 წელი
პირუტყვი და ფრინველი — მილიონ ტონა:			
ცოცხალი წონა	15,4	15,1	16,3
ნაკლავის წონაზე გადაანგარიშებით	9,9	9,3	10,3
რძე — მილიონ ტონა	52,1	56,2	60,8
კვერცხი — მილიარდი ცალი	27,5	32,9	36,8

შესრულდა 1977 წლისათვის დადგენილი შესყიდვის საერთო მოცულობა დამატებითი დავალების გათვალისწინებით რძისა და კვერცხის ხაზით. პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის დამატებითი დავალება მთლიანად ვერ შესრულდა.

საშუალო წელადობა ძროხაზე 6 პროცენტით გაიზარდა. გადიდდა სახელმწიფოსათვის მიყიდული ერთი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის საშუალო წონა.

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 24,4 მილიარდი მანეთი და წელიწადში 7 პროცენტით გაიზარდა.

სოფლად კიდევ უფრო განვითარდა სამეურნეობათშორისო კოოპერაცია. 1978 წლის დამდეგისათვის იყო 7,8 ათასი სამეურნეობათშორისო საწარმო.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილმა კაპიტალურმა დაბანდებამ სამეშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა 32,9 მილიარდი მანეთი, აქედან სახელმწიფო დაბანდებამ — 21,9 მილიარდი მანეთი და კოლმეურნეობების დაბანდებამ — 11 მილიარდი მანეთი.

საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობაში დაბანდებული იყო 6,9 მილიარდი მანეთი.

სოფლის მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტექნიკის **მიწოდების** გეგმა შესრულდა. სოფელმა მიიღო: 364 ათასი ტრაქტორი, რომელთა საერთო სიმძლავრე 28 მილიონი ცხენისძალაა, 265 ათასი სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 101 ათასი მარცვლეულის ასაღები კომბაინი, 11 ათასი სიმინდის ასაღები, 12 ათასი კარტოფილის ასაღები, 14 ათასი ჭარხლის ასაღები და 57 ათასი სილოსის ასაღი კომბაინი. 9 ათასი ბამბის ასაღები მანქანა, 31 ათასი წნეხასაკრები, 27 ათასი დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, 56 ათასი საწველი დანადგარი, 94 ათასი ენერგეტიკული სატვირთავი და ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი.

1977 წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 77 მილიონ ტონა მინერალური სასუქები, ანუ 2 მილიონ ტონით მეტი, ვიდრე 1976 წელს, 2,8 მილიონ ტონა ქიმიური საკვები დანამატი, ანუ 53 ათასი ტონით მეტი.

მთელ რიგ მეურნეობებში იყო პროდუქციის, მინერალური სასუქების დანაკარგები, ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის მოცდენა.

განხორციელდა **ტყის აღდგენის სამუშაოები** 2,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე, აქედან 1,2 მილიონ ჰექტარზე — ტყის თესვა და რგვა. 46,8 მილიონ ჰექტარზე განხორციელდა ტყეთმოწყობა.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვამ 5,6 ტრილიონი ტონაკილომეტრი შეადგინა და გასულ წელთან შედარებით 3,7 პროცენტით გაიზარდა.

მგზავრთბრუნვამ 803 მილიარდ მგზავრკილომეტრს მიაღწია და 2,9 პროცენტით გაიზარდა.

წლიური გეგმის შესრულება ტრანსპორტის სახეობათა მიხედვით შემდეგი მონაცემები ახასიათებს:

		1977 წელს	1977 წელი ტონით 1976 წელთან შედარებით
ტვირთბრუნვა — მილიარდი ტონაკილომეტრი			
რკინიგზის ტრანსპორტი	3330	99	101
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	231	100,5	104
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	109	99,6	107
ნავთობსადენი ტრანსპორტი	922	103	116
ტვირთბიდვა — მილიონი ტონა			
რკინიგზის ტრანსპორტი	3705	100	102
საერთო სარგებლობის სამდინარო ტრანსპორტი	520	102	107
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი	5929	99	103
ნავთობსადენი ტრანსპორტი	559	100,9	105

საზღვაო ტრანსპორტმა შეასრულა საშინაო და საზღვარგარეთ ნაოსნობაში ტვირთის გადაზიდვის გეგმა. 1976 წელთან შედარებით ტვირთზიდვა ყველა სახეობის ნაოსნობაში და ტვირთის გადაზიდვა კონტეინერებით გაიზარდა 3 პროცენტით. საზღვაო ნავსადგურებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა საერთო მოცულობის 92,6 პროცენტი შესრულდა კომპლექსურ-მექანიზებული წესით.

საჰაერო ტრანსპორტმა შეასრულა მგზავრთბრუნვისა და ავიაგადაზიდვის საერთო მოცულობის გეგმა. სახალხო მეურნეობის დარგების მომსახურების სამუშაოთა გეგმა ავიაციამ გადაჭარბებით შეასრულა, ამ სამუშაოთა მოცულობა წელიწადში 10 პროცენტით გაიზარდა.

ამავე დროს ტრანსპორტის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი. მან მთლიანად ვერ უზრუნველყო ცალკეულ სახეობათა ტვირთის გადაზიდვა.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა შეასრულეს; გასულ წელთან შედარებით კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა 5,9 პროცენტით გაიზარდა. შესრულდა საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის არხების სიგრძის გაზრდის, საქალაქო და სასოფლო სატელეფონო სადგურების ტევადობის გეგმა; გაფართოვდა რადიომაუწყებლობისა და სატელევიზიო სადგურების ქსელი.

IV. კაპიტალური მშენებლობა

გასულ წელს **აშენდა 250 ახალი დიდი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.** ბევრი საცხოვრებელი სახლი, სკოლა, საავადმყოფო, სკოლამდელთა დაწესებულება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები. ხორციელდებოდა მოქმედი საწარმოებისა და საამქროების რეკონსტრუქცია და გაფართოება.

ახალ საწარმოთა მშენებლობის, მოქმედთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას ახასიათებს, შემდეგი მონაცემები:

	1977 წელს ამოქმედებული სიმძლავრეები
ელექტროსადგურები — მილიონი კილოვატი	10
ქვანახშირი — მილიონი ტონა	17,4
რკინის მადანი — მილიონი ტონა	14,1
თუჯი — მილიონი ტონა	0,6
ფოლადი — მილიონი ტონა	6
შავი ლითონების ნაგლინი (მზა) — მილიონი ტონა	1,5
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულით) — მილიონი ტონა	4
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა	103
ქიმიური ბოჭკოები და ძაფები — ათასი ტონა	87,5
ტერბინები — ათასი კილოვატი	510
სატვირთო სამაგისტრალო ვაგონები — ათასი ცალი	2,7
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	2,4
ავტომობილები — ათასი ცალი	43,8
ტრაქტორები — ათასი ცალი	39,3
მარცვლის ასაღები კომბაინები — ათასი ცალი	7,1
ერთიანცხვიანი ექსკავატორები — ათასი ცალი	9,2
ცემენტი — მილიონი ტონა	4,2
ფაიფურ-ქაშანურის ნაწარმი — მილიონი ცალი	53
შაქრის ფხვნილი — დღე-ღამეში გადამუშავებული ჭარხლის ათასი ცენტნერი	184
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	50
ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	360
ხორცი — ცალში ათასი ტონა	0,7
მოუხდელი რძის პროდუქცია — ცალში ათასი ტონა რძე	2,2
მაგისტრალური ნავთობსადენები და ნავთობპროდუქტსადენები — ათასი კილომეტრი	4
მაგისტრალური გაზსადენები და მათი განშტოებანი — ათასი კილომეტრი	6
ახალი რკინიგზის ხაზები — კილომეტრი	1029
ელექტრიფიცირებული რკინიგზები — კილომეტრი	790
ელევატორები — მილიონი ტონა	4,5
მარცვლეულის საწყობები და მარცვლეულის თესლის საცავები — მილიონი ტონა	5,5

ხელახალი ტექნიკური აღჭურვისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მოქმედ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეები 1977 წელს გაიზარდა: თოლიების წარმოებისა — 1,2 მილიონი ტონით. შაბი ლითონების ნაგლინისა — 0,5 მილიონი ტონით, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 4,3 ათასი ცალით, ტრაქტორებისა — 1,7 ათასი ცალით. ცემენტისა — 0,5 მილიონი ტონით.

ელექტროენერგეტიკაში 3,6 მილიონი კილოვატი სრული საპროექტო სიმძლავრით ამოქმედდა: ულა-ილიმსკის ჰიდროელექტროსადგური და ევროპაში უდიდესი ზაპოროჟიესა და უგლეგორსკის თბოელექტროსადგურები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მილიონი კილოვატი სიმძლავრის პირველი ენერგობლოკი.

ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიურ მრეწველობაში ამოქმედდა ნავთობის გადასამუშაებელი, სინთეზური კაუჩუკისა და პლასტიკური მასებისათვის განკუთვნილი ნედლეულის საწარმოო ახალი სიმძლავრეები.

ქვანახშირის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ყაზახეთის სს რესპუბლიკის ქვანახშირის ჭრილის „ბოგატირის“ დიდი სიმძლავრეები. გათვართობისა და რეკონსტრუქციის გზით გაიზარდა მთელი რიგი მოქმედი შახტებისა და ბენეფიციების სიმძლავრეები.

შავ მეტალურგიაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩარხინა „აზოვოფოლადის“ დიდი კონვერტერებით აღჭურვილი ფანგბდე-კონვერტერული კომბინატი. ნიუნტაგილის მეტალურგიული კომბინატის ფართოთარაოვანი კოჭების დგანი. რკინის მადნის მოპოვებისა და გამდიდრების დიდი სიმძლავრეები; მოქმედ აგრეგატების რეკონსტრუქციის გზით გაიზარდა თუჯისა და ფოლადის წარმოების სიმძლავრეები.

ფერად მეტალურგიაში მოქმედ საწარმოებში ამოქმედდა თუთიის, ალუმინის, ტიტანის, ფერადი ლითონების ნაგლინის ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

ქიმიურ მრეწველობაში მწყობრში ჩაიყენა ბალაკოვოს ქიმიური ჩარხნისა და ივანოვის სასუქების ქარხნის მინერალური სასუქების დიდი საწარმოო სიმძლავრეები; ამოქმედდა სიმძლავრეები ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფების, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების და სხვა პროდუქციის საწარმოებში.

მანქანათმშენებლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა საბრძმედი, ფოლადსადნობი და საალინავი მოწყობილობის, ავტომატური ხაზების, ელექტროძრავების, ელექტროტრანსფორმატორებისა და მანქანათმშენებლობის ბევრი სხვა სახეობის პროდუქციის ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

ხის დამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში ამოქმედდა მერქნის გადასამუშავებელი, ქაღალდის, მუყაოსა და ავეჯის საწარმოო სიმძლავრეები.

საშენ მასალათა მრეწველობაში მწყობრში ჩაიყენა ნოვოროსპასკისა და ნაიოის ცემენტის ქარხნები. ამოქმედდა აზბესტ-ცემენტის მილების, სორტული აზბესტის, საფანჯრე და გაპრიალებული მინის, კერამიკული ფილების საწარმოო სიმძლავრეები.

გაიზარდა **მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის** სიმძლავრეები. ამრავლა სახალხო მოხმარების საქონლის ახალი საწარმოები. მათ შორის ლუგანის, ულან-ულენგორსკის, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, ტომსკის, ნიკოპოლის, ბილორუსეთის სს რესპუბლიკის სლონიმის მსხვილი საფეიქრო საწარმოები, ქრომის ტყავის ქარხანა ორენბურგის ოლქის ქალაქ ბოგოროდსკში, ტერნოპოლის, ოლქის ჩორტკოვის შაქრის ქარხანა, ნოვოტროიცკის საკონსერვო ქარხანა, კალინინისა და კიშინიოვის რძის ქარხნები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლიბაშევ-ლოსჩინსკის **ნავთობსადენი,** ულტა-ტორეოკის **გაზსადენის** მესამე ხაზი, რომელთაგან თითოეულის სიგრძე ათას კილომეტრს აღემატება, და **ნავთობპროდუქტების სადენი** თუა-დასავლეთის მიმართულება, რომლის სიგრძე დაახლოებით 600 კილომეტრია.

წარმოებით ხორციელდება **ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის** მშენებლობა. მუდმივსაექსპლოატაციოდ გადაეცემულია ახალი რკინიგზის ხაზი ბამ-ტინდის მონაკვეთზე.

ამოქმედდა ბელორეკა-არლმანის ახალი ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზი. რომელიც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შემცირდეს მანძილი ორალისა და ციმბირის სამრეწველო ცენტრებიან ევროპული ნაწილის რაიონებამდე.

სოფლის მეურნეობაში რეკონსტრუქციისა და ახალი მშენებლობის გზით საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეობის საოგომები, 4 მილიონზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, 2,5 მილიონი ღორისა და 4.2 მილიონი ცხვრის მექანიზებული ფერმები და კომპლექსები. წელიწადში 8.5 მილიონი მოქცეულით გაიზარდა მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრეები და 55 მილიონი ფრთა ფრინველით სახორაცო მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრეები. საექსპლოატაციოდ გადაეცა 11,5 მილიონი კუბური მეტრი ტივადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, ერთდროულად 2 მილიონ ტონაზე მეტი ტივადობის მინერალური სასუქების, ზამბრმიცელიუმების და კირიანი მასალების შესანახი მექანიზებული საწყობები.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 860 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, მათ შორის 300 ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობები და საძოვრები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ზნერბაიჯანის სს რესპუბლიკის მდინარე არაზ-ჩაის, ყაზახეთის სს რესპუბლიკის ჟიზდალა და ჩარსკის წყალსაცავები; დამთავრდა უზბეკეთის სს რესპუბლიკაში ამო-ბუხარის არხის მეორე რიგის მშენებლობა. გაწყვეტილებულია 7,5 მილიონი ჰექტარი საძოვრები, რუსეთის სფსრ არაშემოწანილადგიან ზონასა და ქვეყნის სხვა რაიონებში ამოშრობილია 830 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები, აქედან 640 ათასი ჰექტარი — დახურული დრენაჟით.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შეადგინა 122 მილიარდი მანეთი და 1976 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ **საჯარო სამუშაოთა** მოცულობა ერთ წელიწადში 3 პროცენტით გაიზარდა; გეგმა შესრულებულია 96 პროცენტით.

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა საჯარო სამუშაოთა მოცულობა 1976 წელთან შედარებით 5 პროცენტით გაადიდეს.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 3,1 პროცენტით გაიზარდა. ამ გზით მიღებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის მთელი მატება. ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული მთელი ბრიგადების დაახლოებით მესამედი.

შარშან გრძელდებოდა მუშაობა მშენებლობის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. 1976 წელთან შედარებით მთლიანასაწყობი მშენებლობის მოცულობა გაიზარდა 8 პროცენტით, ახალი სერიების ტიპობრივი პროექტებით დიდპანელიანი სახლების მშენებლობისა — 24 პროცენტით. გაფართოვდა ეფექტიანი კონსტრუქციების, მასალებისა და ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა.

მაგრამ კაპიტალურ მშენებლობაში იყო არსებითი ნაკლოვანებანი. არ არის უზრუნველყოფილი მთელი რიგი საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედება, იყო სახსრების გაფანტვის შემთხვევები, გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა. ბევრმა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა საჯარო სამუშაოთა, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის გეგმები.

V. ხალხის იხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო წლიურმა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 106,4 მილიონი და წლის მანძილზე 2,1 მილიონით გაიზარდა; კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ **კოლმეურნეთა** რიცხვმა 14,7 მილიონი შეადგინა.

ისევე როგორც წინა წლებში, უზრუნველყოფილი იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება; ქვეყნის ცალკეულ რაიონებში იგრძნობოდა მუშახელის ნაკლებობა.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ვაანგარიშებით 3,5 პროცენტით გაიზარდა.

შესრულებულია მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების ზრდის [illegible].

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ყოველთვიური ხელფასმა 1977 წელს შეადგინა 155 მანეთი 1976 წლის 151 მანეთთან შედარებით. ხელფასი საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებისა და შეღავათების დამატებით გაიზარდა 206 მანეთიდან 212 მანეთამდე.

1977 წელს ყველგან დამთავრდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის თვეში 70 მანეთამდე ხელფასის მინიმუმის გადიდება. ამაღლდა უკიდურესს ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში, ევროპის ჩრდილოეთში, შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის რაიონების არასაწარმო დარგების სამუშაო ხელფასიანი კატეგორიების მუშაკთა სარგოები და განაკვეთები, ხოლო წლის დამლევიდან ეს ღონისძიება ხორციელდება ურალის, უაზახეთის, შუა აზიის, ვოლგა-პირეთისა და ვოლგა-ვიატკის რაიონებში.

ღამით მუშაობისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება შემოღებულია სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო უბნების ოსტატებისათვის და გადიდებულია იმ მუშაკებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არიან გზათა სამინისტროს რკინიგზებისა და მეტროპოლიტენების ძირითად საქმიანობასთან. ხორციელდებოდა ქვანახშირისა და ფიქლის მრეწველობის, და შახტმშენებლობის მუშაკთა **შრომის** პირობებისა და ანაზღაურების დაუმჯობესების ღონისძიებანი ხელფასი გაუდიდდა ავრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკებს.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 4,3 პროცენტით. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებულმა დახმარებამ და შეღავათებმა შეადგინა 99,5 მილიარდი მანეთი და წლის მანძილზე 4.5 მილიარდი მანეთით გაიზარდა.

შემოღებული ესახლეთ მეურნეობის ზოგიერთი დარგის ცალკეული კატეგორიის მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის დამატებითი შეღავათები.

გრძელდებოდა სახელმწიფო შინაგანი სესხის ობლიგაციების გაყიდვა.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში გაიზარდა 13,7 მილიარდი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 229,1 მილიარდი მანეთი და 1976 წელთან შედარებით 9,7 მილიარდი მანეთით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შესრულდა 100,5 პროცენტით.

- სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში **ცალკეული საქონლის გაყიდვის მოცულობას** ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1977 წელს პროცენტი 1976 წელთან შედარებით		1977 წელს პროცენტი 1976 წელთან შედარებით
პურეული პროდუქტები	99	საპონი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი	104
ხორცი და ხორცეული	101	ავეჯი	107
თევზი და თევზეული	98	მაცივრები	107
კარაქი	105	სარეცხი მანქანები	104
მცენარეული ზეთი	100	ელექტრომტვერსასრუტები	118
მარგარინი	103	საათები	106
მოუხდელი რძის პროდუქცია	103	ფოტოაპარატები	107
ყველი	105	მოტოციკლები და მოტოროლერები	106
კვერცხი	111	ველოსიპედები და მოპედები	103
შაქარი	100	რადიომიმღებები და რადიოლები	105
საკონდიტრო ნაწარმი	99	ტელევიზორები	100
ჩაი	106	აქედან ფერადი გამოსახულების პროგრამების მისაღები	147
კარტოფილი	107	მსუბუქი ავტომობილები	106
ბოსტნეული	107		
ხილი და ციტრუსი	112		
ტანსაცმელი, საცვლები და ქსოვილები	103		
ტრიკოტაჟის ნაწარმი	107		
წინდის ნაწარმი	104		
ტყავის ფეხსაცმელი	104		
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	108		

საქონელბრუნვის ზრდის მიუხედავად მოსახლეობის მოთხოვნილება ზოგიერთ საქონელზე ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდებოდა.

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** გაიზარდა 6 პროცენტით, აქედან სოფლად — 8 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გეგმა.

ქვეყნის ეკონომიკის შემდგომმა აღმავლობამ, საცალო საქონელბრუნვისა და მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ზრდამ **უზრუნველყო ფულის მიმოქცევის სტაბილურობა.**

დაფინანსების ყველა წყაროს სახსრებით **აშენდა დაახლოებით 110 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ანუ 2,2 მილიონი კეთილმოწყობილი ბინა. ამის შედეგად საბინაო პირობები გაუუმჯობესდა თითქმის 11 მილიონ საბჭოთა მოქალაქეს.** საექსპლოატაციოდ გადაეცა ზოგადსაგანმათლებლო სკოლები თითქმის 1,5 მილიონი მოსწავლისათვის. სკოლამდელი დაწესებულებანი 580 ათასი ბავშვისათვის, საავადმყოფოები 65 ათასი საწოლით, პოლიკლინიკები ცვლაში 122 ათასი პაციენტის მისაღებად, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი სხვა ობიექტი. მაგრამ მთელმა რიგმა მოკავშირე რესპუბლიკებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მთლიანად ვერ შეასრულეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა.

ხორციელდებოდა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოები. წლის მანძილზე გაზიფიცირებულია დაახლოებით 3 მილიონი ბინა, აქედან სოფლად — 1,3 მილიონი ბინა, ქალაქებში: ნოვოკუზნეცკი (კემეროვოს ოლქი), ორჯონიკიძეში (ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ), ოშში, ლაგანსკში (დონეცკის ოლქი), ტაგანროგში გაიხსნა ტროლეიბუსების მიმოს

ალვზარდოთ მუშათა კლასის ღირსეული ცვლა

(დასასრული)

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 30 აგვისტოს დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის, შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ა. შევარდნაძემ.**

კამათში მონაწილეობდნენ თბილისის **ზ. რუხაძის** სახელობის № 36 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **ე. ოდელმონია,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **რ. სარიშვილი,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **ნ. ჭითანავა,** რუსთავის № 3 საშუალო საქალაქო პროფტექნიკური სასწავლებლის სწარმოო სწავლების ოსტატი **ვ. დორმიდონტოვი,** პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **გ. ანჩაბაძე,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ო. ქინქლაძე,** ფოთის № 12 საშუალო საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე **ი. ხორავა,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი **გ. გაბეცმლიძე,** ჟუთათისის ავტოქარხნის დირექტორი **ვ. ხარებავა,** პროფტექნიკური განათლების სისტემის აღზრდილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ო. ლომაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პროფტექნიკური სასწავლებლებისადმი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შეფობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ჭიჭინაძე,** სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე **დ. სიხარულიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ასლანიკაშვილი,** ხიდისთავის № 15 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი **ნ. თუთბერიძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი **ჯ. ჩარკვიანი,** ტყიბულის № 19 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, საქართველოს ალკკ XXXI ყრილობის დელეგატი, „ტყიბულშახტმშენის“ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **რ. ლალიძე,** თბილისის № 18 საშუალო საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი **დ. დავითაშვილი.**

ამ ტრიბუნის კრებაზე გრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ბულგაკოვმა.**

მომხსენებელმა და გამოსულებმა აღნიშნეს, რომ სიიუბილეო, 1977 წელს მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ისტორიულმა მოვლენებმა — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულმა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებამ, ამ მოვლენებთან დაკავშირებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებმა და მისმა სიტყვამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმზე ქვეყნის ყველა მშრომელის და მათ შორის რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების კოლექტივების უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ეს საპროგრამო დოკუმენტები სისტემის ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების საქმიანობის საფუძველი გახდა.

საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებმა უფრო რომანტიკებით დაიწყეს სახალხო მეურნეობისათვის მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საყოველთაო საშუალო განათლების კანონის განხორციელებაში, მეცხრე ხუთწლედში სისტემის სასწავლებლებმა შომზადეს ათი ათასობით მუშა, ამასთან მთელი გამოშვების 45 პროცენტს საშუალო განათლების მქონე მუშები შეადგენენ.

სასწავლო-აღმზრდელ ობ ი თ ი პროცესის სრულყოფაში მიღწეულმა საგრძნობმა ძვრებმა, რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობასა და ახალგაზრდობას შორის პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების აუტორიტეტის ზრდამ ხელი შეუწყო 1976-1977 წლებში კადრების მიღებისა და მომზადების სახელმწიფო გეგმების შესრულებას.

ფრთოვდება და მტკიცდება საქართველოს პროფტექნიკური სასწავლებლების ურთიერთობა მოკავშირე რესპუბლიკების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის და სხვა მომძლე სოციალისტური ქვეყნების სასწავლებლებთან.

სისტემას უფრო აქტიურად ეხმარებიან რესპუბლიკის საბაზო სამინისტროები და უწყებები, სწარმოები და ორგანიზაციები.

მაგრამ, აღნიშნეს მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა, საქართველოს სსრ პროფტექნიკური განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არის ხარვეზები და გადაუჭრელი საკითხები. მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ქვანახშირისა და მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროსათვის მოსწავლეთა მიღებისა და მუშათა მომზადების გეგმის შესრულება, ახალი კონტინგენტით დადგენილ ვადებში არ კომპლექტდება მთელი რიგი სასწავლებლები, ჯერ კიდევ დიდია ის მოსწავლეთა რიცხვი, რომლებიც ვიწრო პროფილის სპეციალობებს მისდევენ, სუსტად ვითარდება სწავლება შეთავსებული პროფესიების დარგში.

ორატორებმა დასახეს სისტემის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ჩერქეზიამ.**

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია და 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ე. გ. კაკაბაძე** და გამოიყვანა იგი რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან.

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია **გ. გ. შიბაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ჯ. ი. პატიაშვილმა.**

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავისათვის

დიდი სამამულო ომის მონაწილემ, საინჟინრო ჯარების მარშალმა **არჩილ ვიქტორის ძე გელოვანმა** სამხედრო სამსახური **1939** წლის აპრილში, შავი ზღვის ფლოტში დაიწყო. როგორც უბნის მშენებლობის უფროსმა. მან გაიარა სამხედრო მშენებლის დიდი და სახელოვანი გზა — მშენებლობის უფროსიდან საინჟინრო ჯარების მარშალამდე, მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში, იბრძოდა ქერჩში, ნოვოროსიისკთან, ტუაფსეში.

არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რსფსრ დამსახურებული მშენებელია. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ თორმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამხედრო მშენებლების მრავალათასიან კოლექტივს მგრი ქალაქ სევასტოპოლის აღსადგენად. ქალაქის დაცვისა და აღდგენის საქმეში გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის „არჩილ ვიქტორის ძე არჩიულია მგრი ქალაქ სევასტოპოლის საპატიო მოქალაქედ.

ამ დღეებში „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი ეწვია საინჟინრო ჯარების მარშალს არჩილ გელოვანს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— პატივცემულო არჩილ, ნება მიბოძეთ, გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველების სახელით მოგილოცოთ საინჟინრო ჯარების მარშლის, უმაღლესი სამხედრო წოდების მინიჭება.

— დიდი მადლობა. ამასთან დაკავშირებით ბევრი მოლოცვა მივიღე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, განსაკუთრებით საქართველოდან. მილოცავდნენ პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, მშრომელები, სტუდენტი ახალგაზრდობა, მეგობრები, თანაკასელები. ვსარგებლობ შემთხვევით, და „კომუნისტის“ საშუალებით მინდა მათ ყველას მადლობა მოვახსენო გულთბილი მოლოცვისათვის, საუკეთესო სურვილებისათვის.

— სიამოვნებით ვასრულებ რედაქციის დავალებას, და გადმოგცემთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ბეჭდურ (ვახტანგისეულ) გამოცემას, რომელიც აღადგინა აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ. წიგნი დაისტამბა გამომცემლობა „მეცნიერებაში“ 1975 წელს და წარმოადგენს 1937 წლის ფოტოტიპოდუქციულ გამოცემას.

— დიდი გატაცებით ვაგროვებ ჩვენი ეროვნული საუნჯის „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარებს. მრავალი გამოცემა მაქვს ქართულ, რუსულ, აგრეთვე უცხოურ ენებზე, მაგრამ ეს გამოცემა არ მქონდა. დიდი მადლობა.

— გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ თქვენი ცხოვრების გზის დასაწყისზე.

— დავიბადე 1915 წლის ნოემბერში ლეჩხუმში, ცაგერის რაიონის სოფელ სპათაგორში. ბავშვობა არც ისე უზრუნველი მქონდა. მამა ადრე გარდმეცვალა. დედაც ხშირად ავადმყოფობდა. მიუხედავად ამისა, თოთხმეტი წლისამ დავამთავრე თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა. უმაღლეს სასწავლებელში უსაკობის გამო არ მიმიღეს. ამიტომ წელიწად-ნახევარი მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში ვსწავლობდი მოსე თოიძის, ციმაკურიძის, ირაკლი თოიძის, ბაშმეუფ-მელიქოვის ხელმძღვანელობით. მაგრამ საბოლოოდ მაინც სხვა გზა ავირჩიე, თბილისის ინდუსტრიულ ინსტიტუტში შევედი. მახსოვს, როგორ „გამწყრეს“, მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში, რაკი პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლიდან ვიყავი. ბოლოს მაინც „ფრიადი“ დამიწერეს. გამომცდელი გახლდათ შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე. რაკი სიტყვა პედაგოგზე ჩამოვარდა, არ შემიძლია დიდი მოკრძალებით არ მოვიგონო ჩემი მასწავლებლები პირველი სკოლიდან — მიხეილ ზახდუკელი, ვასო აბდუშელიშვილი, დავით დონდუა, სიმონ ვაჩნაძე, ტერენტი ვეფხვაძე, ივანე ნიჟარაძე და სხვები. ისინი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი პედაგოგები იყვნენ. მათ პატარაობიდანვე ჩაგვნერგეს მეგობრობის, ერთგულების, სამშობლოს სიყვარულის იდეალები. პირადად ჩემთვის სკოლაში გატარებული წლები მაცოცხლებელი, თავანკარა წყაროა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სასიამოვნო მოგონებად მომყვება. სკოლაში მიღებული საფუძვლიანი ცოდნა დამეხმარა, რომ შემდეგ შედარებით „იოლად“ გამეკლო ცხოვრების რთული გზა. დაუვიწყარი იყო ჩვენი კლასელებისათვის 1958 წელი, როდესაც სკოლის დამთავრების ოცდამეათე წლისთავი ვიზეიმეთ.

— გამოდის, რომ წელს საიუბილეო თარიღი გქონიათ?

— დიახ! ორმოცდაათი წელი გავიდა სკოლის დამთავრებიდან. მთელი ნახევარი საუკუნე! მოუცლელობის მიუხედავად, დიდი სურვილი მაქვს კვლავ შევიკრიბოთ თანაკასელები. იმედია წინა შეხვედრის ორგანიზატორები წელსაც ითავებენ ამ საქმეს. სიხარულით ველი მშობლიურ თბილისში ჩამოსვლას და ძველებს თანაკასელებთან, მეგობრებთან შეხვედრას!

— რამ განაპირობა თქვენი პროფესიის არჩევანი?

— ბავშვობაში ხატვით საკმაოდ ვიყავი გატაცებული. დიდი იყო ცდუნება, მაგრამ საბოლოოდ მაინც მშენებლის პროფესიამ გამიტაცა. რატომ? სასიამოვნო იყო იმის შეგნება, რომ შენი ნაღაწი შენს შემდეგაც დარჩება ხალხის სამსახურში. მშენებელი კი ქვეყანას ყველგან და ყოველთვის სჭირდება. მხედველობაში მყავს ნამდვილი, საქმის მცოდნე და კეთილსინდისიერი სპეციალისტი. 1936 წელს ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე მშენებელი ინჟინრის დიპლომით. ამასთან დაკავშირებით მინდა დიდი მადლერებით მოვიგონო ჩვენი ძვირფასი ლექტორები, აკადემიკოსები ნიკო მუსხელიშვილი და ვიქტორ კუპრაძე, პროფესორები, მუხაძე, ბენაშვილი, ხელთუფლიშვილი, ხარაძე, რუხაძე, კაკუშაძე და მრავალი სხვა. მათი დაუღალავი შრომის შედეგად ჩვენს ინსტიტუტში მყარი საფუძველი იყო შექმნილი მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-მშენებლის მოსამზადებლად. ემუშაობდი „ინკომშენის“ ტრესტში.

1939 წელს, როდესაც ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი და მთავარი ინჟინრის მოადგილე ვიყავი, ჩვენს ქვეყანაში გამოცხადდა ნებაყოფლობითი გაწვევა არმიაში. ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შაღალკვალიფიციური სპეციალისტი ინჟინერი კადრები სჭირდებოდა. მოგეხსენებათ, ომის საფრთხე სულ უფრო ახლოვდებოდა, ქვეყანას უჭირდა, ჩვენი თაობის ახალგაზრდებს არ შეგვეძლო პარტიის მოწოდებას არ გამოვხმაურებოდით. სამართლე გითხრათ, ახალგაზრდობაში ძალიან მომწონდა მეზღვაურების რთული, მაგრამ რომანტიკული ცხოვრება, ლამაზი ფორმა, რთული სანავსადგურო ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, ამიტომაც საჭნედრო-საზღვაო ფლოტში წავედი სამეცადინოდ. მას შემდეგ შეიარაღებულ ძალებში ვარ.

— რა კვალი დასტოვა დიდმა სამამულო ომმა თქვენს ცხოვრებაში?

— ჩემთვის, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოფიცრისათვის, ეს იყო პირადი თვისებების, ნებისყოფისა და სიმტკიცის გამოცდა. აქ უხდა გამოჩენილიყო, თუ რამდენად შეეძლებდი მოქმედი ფრონტების მძიმე პირობებში საინჟინრო ცოდნის გონივრულად გამოყენებას საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობაზე, რათა ფაშისტი ურდოებისათვის გზა გადაგვეღობა.

მიუხედავად უამრავი სიძნელეებისა, ყოველმხრივ ვცდილობდი არ შემელახა ჩემი სამშობლოს, საყვარელი საქართველოს სახელი და ღირსება.

— სად მოგისწროთ დიდი სამამულო ომის პირველმა დღემ?

— ოდესაში. დილის ხუთის ნახევარზე, როდესაც ფაშისტების თვითმფრინავებმა ქალაქი დაბომბეს, ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ომი დაიწყო.

— სად შეხვდით გამარჯვების დღეს?

— ნოიოლავენი.

— როგორ დაგახსომდათ იგი?

— ეს იყო ბედნიერი, განუმეორებელი დღე, რომლის დავიწყება მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუძლებელია. ეს იყო საყოველთაო აღტაცებისა და სიხარულის დღე, რომ ბოლოს და ბოლოს აღსრულდა! ფაშისტები დამონებას უქადდნენ მთელ პროგრესულ კაცობრიობას, მაგრამ ლენინური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილებმა შეასრულეს თავისუფალი ადამიანის უმაღლესი მისია — მტერი საკუთარ ბუნაგში მოსპეს და რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა აფრიალეს! ამ დღეს ბევრი იყო სინანულის ცრემლიც ომით წილ, ვინც საუთარი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებას, თვითონ კი ვეღარ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს.

— მშენებლის პროფესია, თუნდაც სამხედრო მშენებლისა, ალბათ, მაინც სპეციფიკურია. ჰქონდათ თუ არა ამ სახეობის ჯარის მეომრებს პირადი გმირობის გამოჩენის შესაძლებლობა?

— გმირობა მრავალგვარაა, ჯარისკაცის გმირობა, რომელიც ცეცხლის წინა ხაზზე იბრძვის, თვალწინაა, ამაკვეთილ ლ ად ჩანს, მაგრამ არანაკლები გმირობა გჭირდება, როცა დღე-ღამეში თექვსმეტი საათის განმავლობაში ებრძვი გაყინულ მიწას, თხრი ბლინდაჟს, აშენებ ხიდს, საფორტიფიკაციო ნაგებობებს, თანაც ზემოდან ბომბებს გაშენენ; ძალების არაადამიანური დაძაბვა იყო საჭირო, სარდლობის დავალებათა დროულად შესასრულებლად. საინჟინრო ჯარების მებრძოლებმა ღირსეულად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში. ჩვენმა მესანგრეებმა ომის პერიოდში სამოცდაათი მილიონი ნაღმი ჩაწყვეს, რომლებზედაც მტრის ათი ათასამდე ტანკი აფეთქდა, ვოლგიდან ელბამდე საინჟინრო ჯარებმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მშენებლები, თერმეტი ათასამდე ხიდი ააგეს, გაიყვანეს ოთხასი ათასი კილომეტრი გზა, დაახლოებით ამავე სიგრძის ტრასა ნაღმებისაგან გაუწენებელეს.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის საინჟინრო ჯარების ასი ათასამდე მებრძოლი დაჯილდოვდა სამშობლოს ორდენებითა და მედლებით, 642 მებრძოლს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, ხოლო 266 ჯარისკაცი დიდების ორდენის სრული კავალერი გახდა.

— ხომ არ დაგვისახელებდით დიდი სამამულო ომის ისტორიაში ისეთ ბრძოლას, რომელშიც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამხედრო მშენებლებმა?

— ჩემი აზრით, ასეთი იყო სევასტოპოლის დაცვა. ეს გახლდათ რთული, ღრმადეშელონირებული თავდაცვითი სისტემა სამმაგი ზღვეულებთ, ურომლისოდაც ქალაქის დამცველები ალბათ ვერ შეძლებდნენ იმდენ ხანს შეენარჩუნებინათ ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ მებრძოლები გმირობისა და თავგანწირვის სასწაულებრივ მაგალითებს უჩვენებდნენ. სევასტოპოლისათვის ბრძოლაში მტერმა სამასი ათასამდე კაცი დაკარგა. სევასტოპოლის დაცვისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისათვის 37 მებრძოლს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. სევასტოპოლელთა გმირობას აღსანიშნავად 1942 წლის 22 დეკემბერს დაწესდა მედალი — „სევასტოპოლის დაცვისათვის“, რომელიც 45 ათასზე მეტმა მებრძოლმა დაიმსახურა.

— პატივცემულო არჩილ, ომის დამთავრების შემდეგ ხომ არ გაგიჩნდათ სურვილი სამხედრო შუნდერი სამოქალაქო ტანსაცმელზე შეგეცვალათ? ეს ხომ ბუნებრივი იქნებოდა იმათთვის, ვინც ომის მთელი საშინელება გამოიარა?

— არა. ფაშისტებმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიწასთან გაასწორეს ჩვენი ქალაქები და სოფლები. ომი კი დამთავრდა, მაგრამ საჭირო იყო უმოკლეს ვადაში ყველაფრის აღდგენა, ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. მე, ახალგაზრდა კომუნისტს, მორალური უფლება არ მქონდა თავი ამერიდებინა სიძნელისათვის. „ომი“ ჩვენთვის, სამხედრო მშენებლებისათვის, კვლავ გრძელდებოდა, ოღონდ უკვე მშვიდობიანი, აღმშენებლობითი ომი!

— როგორც ცნობილია, სევასტოპოლელებმა თავიანთ საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს. ალბათ რაიმე განსაკუთრებული ამბები გაკავშირებთ ამ ქალაქთან?

— ყოველი ადამიანის ცხოვრებაში არის უმთავრესი, ძირითადი ეტაპები. პირადად ჩემს ცხოვრებაში ორი ასეთი ეტაპი იყო: დიდი სამამულო ომი და გმირი ქალაქის სევასტოპოლის აღდგენა. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სევასტოპოლთან არის დაკავშირებული.

სევასტოპოლმა ერთ-ერთმა პირველმა მიიღო გერმანელ-ფაშისტთა დარტყმა, მაგრამ მეზღვაურების, სამხედრო მშენებლებისა და მთელი მოსახლეობის თავდაუზოგავი შრომის მეოხებით ქალაქი მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ, აუღებელ ბასტიონად იქცა. როდესაც მტერს ქალაქის აღების იმედი გადაეწურა, გადწყვიტა აღებაგა იგი პირისაგან მიწისა.

მე მახსოვს დანგრეული, გაპარტახებული, ომისშემდგომი სევასტოპოლი და ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ წლების მანძილზე ამათ გვერდით ვიყავი, ვინც ფერფლისა და ნანგრევებისაგან აღადგინა ეს ქალაქი. იგი, ფენიქსებრ განახლებული, კიდევ უფრო დიდებული და მშვენიერი გახდა.

ბედნიერად ვთვლი თავს, რომ სევასტოპოლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ასეთი შეფასება მისცა ქალაქის აღდგენის საქმეში გაწეულ ჩემს მცირე წვლილს.

— როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავი....

—დიახ ეს იუბილე დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. საიუბილეო თარიღმა დიდი აღმავლობა გამოიწვია შეიარაღებული ძალების მთელ პარად შემადგენლობაში. ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ყოველი ნაწილი, ყოველი შენაერთი ცდილობს ღირსეულად შეხვდეს ამ იუბილეს. შეიარაღებულ ძალებთან ერთად მას ფართოდ აღნიშნავს მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა, რადგანაც საბჭოთა კავშირში შეიარაღებული ძალებისა და ხალხის ინტერესები ერთიანია! სწორედ ეს არის ჩვენი ძალა!

— საუბრის დასასრულს, რას უსურვებდით საქართველოს მშრომელებს, ჩვენს მკითხველებს?

— უურადღებით ვადევნებ თვალს იმ არსებით ცვლილებებს, რომლებიც რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარეობს. როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, რომლის შედეგად უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაშინ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავიანთ შემოქმედებითს ენერგიას მოახმარენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მახარებს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს რესპუბლიკა ზედიზედ რამდენჯერმე დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

არჩილ ვიქტორის ძე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კალამი აიღო და ეს სიტყვები ლამაზი ქართული ხელწერით ქაღალდზე გადაიტანა.

„სულითა და გულით ვუსურვებ საქართველოს მშრომელებს, ჩემს ძვირფას თანამშემამულეებს მშვიდობას, ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და ახალ-ახალ წარმატებებს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში“.

□

ჭარი გაიღო. შემოვიდა მოხდენილი, ახალგაზრდა ადიუტანტი, მიუახლოვდა მარშლის მაგიდას, ქუსლი ქუსლს კოხტად შემოჰკრა და ადგილზე გაქვავდა.

— ამხანაგო მარშალო! მინისტრთან თათბირის დაწყებამდე დარჩა თხუთმეტი წუთი!

თავდაცვის სამინისტროში სამუშაო დღე გრძელდებოდა...

ჯუმბერ ჯიშკარიანი,
(„კომუნისტის“ სპეციალური კორ.).

 მოსკოვი.

საუბარი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, საინჟინრო ჯარების მარშალთან

არჩილ გელოვანთან.

ჯარისკაცებად არ იბადებიან...

,,სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის'' საიუბილეო მედლის

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ



საიუბილეო მედალი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წელი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

იპოლ გოგებაშვილის სახელოვანი პრემიის მინიჭება

საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი უკანასკნელ წლებში საუკეთესო პედაგოგიკური ნაშრომებისათვის ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების მინიჭების შესახებ.

პედაგოგიური საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემია მიანიჭა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ **ვალერიან რამიშვილს** ნაშრომისათვის — **„ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები“** (უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო, 1976 წ.). პროფესორი ვ. რამიშვილი ავტორია ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პედაგოგიკურ-მეთოდიკური წიგნის და სასკოლო სახელმძღვანელოსი.

(საქინფორმი).

მსოფლიოს ამბები

△ საბჭოთა კავშირის დახმარების მაღალი შეფასება

△ დასავლეთ გერმანია აფინანსებს სომალის ეთიოპიის წინააღმდეგ ომში

△ პორტუგალიაში დამთავრდა მთავრობის კრიზისი

• საკდესი იტყობინება

გულითადი მაღლობა

ლუანდა, (საკდესი). მპლაშრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ გულითადი მადლობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხებს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ანგოლის რევოლუციის მუდმივი მხარდაჭერისა და ახალი, სოციალისტური ანგოლის მშენებლობაში დახმარებისათვის.

მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ხელშეწყობას რესპუბლიკის ახალგაზრდა საზღვაო ტრანსპორტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

სასამართლო ფარსი

რომი, (საკდესი). ოფიციალურმა ტელ-ავივმა დაიწყო სასამართლო პროცესი ისრაელი ჟურნალისტის — ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, ანტიჰიტლერული ფრონტის მებრძოლთა და ნაცისმის მსხვერპლთა ასოციაციის ბდივნის გ. ლებრეხტისა და კვიპროსელი ჟურნალისტის — გაზეთ „ხარაგვის" კორესპონდენტის პ. პასხალისის საქმის გამო. აი უკვე ათი დღეა ისინი უკანონოდ ჰყავთ დამწყვდეული საპყრობილის დილეგებში. მათ წაყენებული აქვთ შეთითხნილი ბრალდება — „ისრაელის სახელმწიფოს უშიშროების ძირგამომთხრელი მოქმედება". „მტკიცებულებებად" მოყვანილია ჟურნალისტების მიერ გადაღებული ფოტოსუიათები, რომლებზეც აღბეჭდილია ისეთი „სტრატეგიული სამხედრო ობიექტები", როგორიც არის ბიღაზები, ბაზრები, კინოთეატრები, ქუჩის სცენები.

შეიქმნა მთავრობა

ლისაბონი, (საკდესი). სოციალისტური პარტიის ლიდერმა მარიო სოარეშმა გამოაცხადა მის მიერ შექმნილი პორტუგალიის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელშიც შედის 10 სოციალისტი, კათოლიკური პარტია სოციალურ-დემოკრატიული ცენტრის სამი წარმომადგენელი და ორი „დამოუკიდებელი".

ამით დამთავრდა მთავრობის კრიზისი, რომელიც ქვეყანაში გრძელდებოდა გასული წლის 8 დეკემბრიდან, როცა გადადგა სოციალისტთა ერთპარტიული კაბინეტი, რომელსაც მ. სოარეში ეთაურობდა.

პორტუგალიის ახალ მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ვიტორ სა მადეუმ.

ბერლინგუერის განცხადება

რომი, (საკდესი). იტალიის კომუნისტთა წინადადება იგივე რჩება — შეიქმნას იტალიაში საგანგებო მთავრობა, დემოკრატიული ერთიანობის მთავრობა მთელი დემოკრატიული ძალების მონაწილეობით, განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ე. ბერლინგუერმა დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა იტალიის საშინაო საქმეებში, რასაც „შეეწყნარებელი" უწოდა.

ს. კიპრიანუ — კვიპროსის პრეზიდენტი

ნიკოზია, (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ, რომლის რწმუნებულების ვადა მიმდინარე წლის თებერვალში გადის, კვიპროსის პრეზიდენტად გამოაცხადეს შემდეგი ხუთი წლით.

1977 წლის აგვისტოში, პრეზიდენტის არქიეპისკოპოს მაკარიოსის გარდაცვალების შემდეგ, ს. კიპრიანუ პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური პარტიის წინადადებით ერთხმად დასახელეს რესპუბლიკის არეზიდენტის პოსტზე პრეზიდენტის მორიგ არჩევნებამდე, რომელიც 1978 წლის თებერვალში უნდა გამართულიყო.

დღეს გავიდა ამ არჩევნებში რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატთა უასახელების ვადა. ს. კიპრიანუს კანდიდატურას კვლავ დაუჭერა მხარი კვიპროსის რესპუბლიკის პარლამენტში შემავალმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ. ამ შემთხვევაში ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად არჩევნები არ იმართება, ხოლო ერთადერთი კანდიდატი პრეზიდენტად ცხადდება.

ყოველი მსრიდან

ბერნი

57 ათასზე მეტმა შვეიცარიელმა მოაწერა ხელი მიმართვას ქვეყნის მთავრობისადმი, რომელშიც მოითხოვენ მიენიჭოს ქალებს მამაკაცის თანაბარი უფლებები.

ამ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანიის მსვლელობაში, რომელსაც შვეიცარიის ქალთა პროგრესული ორგანიზაციები ანორციელებენ, ქვეყნის საზოგადოებრიობამ მოითხოვა ძოქმედ კონსტიტუციას დაემატოს დებულებები ქალებისათვის მამაკაცების თანაბარი იურიდიული და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ინიჭების შესახებ.

ანკარა

თურქეთში ყველა სამხედრო ბაზის სტატუსის დაუყოვნებლივ გადასინჯვა მოითხოვა სენატორმა ნაჯი უნსალმა, ახლანდელ მთავრობაში წამყვანი სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრმა. გამოვიდა რა თურქეთის პარლამენტის შერეული საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, მან აღნიშნა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე უცხოეთის ბაზების არსებობა ძიოს უთხრის მის ეროვნულ სუვერენიტეტს.

კარიზი

12 ათასზე მეტი რკინიგზელი ყოველწლიურად ხდება საფრანგეთში საწარმოო ტრავმატიზმის მსხვერპლი. აქედან 60 კაცი იღუპება.

ეს ციფრები მოიყვანეს პრესკონფერენციაზე, რომელიც პარიზში გამართა შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალმა რკინიგზელთა ეროვნულმა ფედერაციამ.

მოგზაურობა ფოტოკარტით

„კომუნისტის"

ფოტოალბომი



სურათებზე: ზემოთ — ხმელთაშუა ზღვაში მდებარე ერთ-ერთი ულამაზესი კუნძულია მალტა, რომლის დედაქალაქი ლა-ვალეტა ბევრ უცხოელ ტურისტს იზიდავს.
ქვემოთ ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში. ლატარიის ბილეთების ბრმა გამყიდველი (მარცხნივ); უძველესი სამეფო კარეტების გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ბ. დადღაძის ფოტო.

✓ კომენტარი

ვინ აფინანსებს აგრესიას

ნატოს ხუთი ქვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ამ რამდენიმე დღის წინ ვაშინგტონში გამართეს შეხვედრა, რომელზეც იმსჯელეს სომალისათვის ყოველმხრივი დახმარების გაწევის, კერძოდ იარაღის მიწოდების შესახებ, რომელიც მას ეთიოპიის წინააღმდეგ წამოწყებულ აგრესიაში სჭირდება. შეხვედრის დამთავრებისთანავე დასავლეთმა გერმანიამ გამოაცხადა, რომ სომალის კრედიტად ეძლევა არა 25, არამედ 40 მილიონ მარკას.

ცოტა ხნის შემდეგ ნატოს ქვეყნების წარმომადგენელთა ასეთივე შეხვედრა უნდა მოწყოს ლონდონში, ამ შეხვედრაზე განხილავენ ანალოგიურ საკითხებს. თუ საზღვარგარეთის პრესის ცნობებით ვიმსჯელებთ, ნატოს ტაქტიკა აფრიკის რქის ამბების მიმართ ითვალისწინებს როლების გარკვეულ განაწილებას. ამ აგრესიის წაყენები დამფინანსებელი, საუდის არაბეთთან ერთად, აშკარად ხდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ფედერალური მთავრობა „ვერ გაბედავს" იმას, რომ სომალის ხელისუფლებამ დასავლეთ გერმანიისგან მიღებული კრედიტი შეიძლება გამოიყენონ „იარაღის შესასყიდადაც", ოფიციალურად განაცხადა ბონში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ეს გახსიდება შეიძლება ეგეგაფასოთ მხოლოდ როგორც იმის აღიარება, რომ დასავლეთ გერმანია უშუალოდ აფინანსებს სომალის ეთიოპიის წინააღმდეგ ომში.

„ასეთი საფინანსო დახმარების გაწევა ერთ-ერთი მხარისათვის, — წერდა გაზეთი „უნხერე �ტი", — პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით ნიშნავს, რომ დასავლეთი გერმანია ებმება აფრიკის რქის რაიონში მიმდინარე შეიარაღებულ კოფლიქტში".

დასავლეთ გერმანიის მონაწილეობა სამში კონფლიქტის გაღვივებაში განსაკუთრებით კარგად ჩანს აფრიკის კონტინენტზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სულ უფრო მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური აქტიურობით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, ამ ქვეყნის ეკონომიკაში დაახლოებით ძილიარდი დოლარი კაპიტალდაბანდება აქვს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გვერდს უვლის ყოველგვარ აკიმალვას და უკვე რვა წელია აწვდის პრეტორიას ბირთვულ ტექნოლოგიასა და მოწყობილობას. მსოფლიო პრესის ფურცლები მოიარა იმ ცნობამ, რომ დასავლეთ გერმანიის ფირმებმა ზაირის ტერიტორიაზე პოლიგონი შექმეს ბალისტიკური და ფრთიანი რაკეტების პროტოტიპების გამოსაცდელად.

დღეს ბონი თავისი მოქმედებით ნავთს ასხამს ცეცხლზე, რომელიც აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში გიზგიზებს. (საკდესი).

✓ კაპიტალის სამყაროში

ქალაქები დაღუპვის გზაგზე

გზის მაჩვენებლებზე წარწერილია — „ჩივიტა-დი-ბანიო- რეჯო. ქალაქი, რომელიც კვდება". ეს პატარა თვალწარმტაცი ქალაქი ვანლაგებულია მაღალ ბორცვზე ლაციოს ოლქში. ოდესღაც აქ სიცოცხლე ჩქეფდა, მუშაობდნენ სახელოსნოები და მსუბუქი მრეწველობის პატარპატარა საწარმოები. მაგრამ მათი რიცხვი სულ უფრო კლებულობდა და სულ უფრო მეტი მცხოვრები ტოვებდა მშობლიურ ადგილებს ლუკაპატრის ძებნაში. გარდა ამისა, ბორცვს, რომელსაც პატარა ქალაქი მიაკკარია, ხშირი წვიმებით გამოწვეული მეწყერი ანგრევს. ახლა ქალაქში მხოლოდ 20-ოდე მოხუცი დარჩა, დანარჩენი მცხოვრებები კი გადაიხვეწნენ. სახლების უმრავლესობა გამოკეტილია. სწორედ ამიტომაც ეწოდა მას ქალაქი, რომელიც კვდება. ქალაქის „ეაცოცხლებას" იმ ხიდის მშენებლობამაც. არ უმჯობესა, რომელიც მას შორიახლო გამავალ გზატკეცილთან აკავშირებს.

„გადავარჩინოთ ვენეცია", „იღუპება რავენა", „პალერმო საფრთხეშია" — ასეთ ტრაგიკულ სათაურებს სულ უფრო ხშირად შეეხვდებით იტალიური გაზეთების ფურცლებზე.

საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ისეთი ქალაქების მდგომარეობა, როგორიც არის ორვიეტო და ტოდი — უმბრიის ოლქში, ვენეცია და რავენა — იტალიის ადრიატიკის სანაპიროზე, ბარი და პალერმო, — ქვეყნის სამხრეთში. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, ქალაქთმშენებლობას, — მიწათ ნორმების დარღვევა, — მიწათ სპეკულაცია გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ცნობილ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, იტალიის აღორძინების ხანის არქიტექტურის მარგალიტებს.

ხანგრძლივი კოისპირული წვიმების შედეგად ჩამოწოლა იწყო პორცმა, რომელზეც განლაგებულია ორვიეტო — ქალაქი, რომელიც განთქმულია XIII საუკუნის შესანიშნავი გოთიკური ტაძრით. გიგანტურმა ბზარმა გადაკვეთა შუა საუკუნეების რამდენიმე თვალწარმტაცი პატარა ქუჩა და უდიდესი ზიანი მიაყენა ტაძარს. ნაწილობრივ დაზიანდა ლუკა სინორელის, იმ მხატვრის ფრესკები, რომლის ნამუშევრებმა გავლენა მოახდინა მიქელანჯელოს შემოქმედებაზე.

ხშირი მეწყერი ნიადაგს აცლას ქალაქ ტოდს, სადაც, როგორც სარკკლამ პროსპექტები აცადეენ, „ისტორია გაყინულია". ამ შუა საუკუნეების ქალაქს, რომელსაც თითქმის არ შეხებია თანამედროვე მშენებლობა, ნგრევის საფრთხე შეექმნა.

ნელნელა ჯდება იტალიის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძველი ქალაქი რავენა, რომელსაც წინათ „იტალიურ ბიზანტიას" უწოდებდნენ. ადამიანის საქმიანობამ, რომელიც უბუნურ ექსპლოატაციას უწევს ბუნებრივ სიმდიდრეს, შედარებით მოკლე დროში გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ზღვის მახლობლად ქვიშაზე აშენებულ ქალაქს. ოც წელიწადში, როგორც სპეციალისტებმა გამოანგარიშეს, ქალაქმა უფრო მეტად დაიწია, ვიდრე წინა 1200 წლის მანძილზე. ზღვის მოქცევის დროს წყლით იტბოლება წარსულის ბეგრი უძვირფასესი არქიტექტურული ძეგლი, რომლებიც ეხოდენ მდიდარია რავენა. ნოქცევის ან ხანგრძლივი წვიმების დროს მხოლოდ მუდმივად მომუშავე ტუმბოები იხსნიან ხოლმე შენობებს სრული დატბორვისაგან.

შემთხვევითი არ არის, რომ ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მწვავედ სვამს ქვეყნის ეროვნული საგანძურის დაცვის საკითხს, რადგან სამართლიანად მიაჩნია, რომ მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი იქნება. გამოირკვა, მაგალითად, რომ ვენეციის ცნობილი „წვიმების სასახლის" არც ნახაზები და არც დეტალური ფოტოსურათები არ არსებობს. ფრიული-ვენეციი-ჯულიის ოლქში ამას წინათ მოხდარი მიწისძვრისათვის რომ ვერ გაეძლო, სასახლის წინანდელი სახით აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ხელისუფალნი აყოვნებენ ისტორიული ძეგლების შენახვისათვის, აღდგენითი და სარეხტავრაციო სამუშაოებისათვის სახსრების გამოყოფის საკითხის განხილვას.

ლ. ალექსანდროვა,
საკდესის კორესპონდენტი.

ქართველი მოჭიდაობები მთავარ პარტიებში

ვარდის უკვდავმა ოპერამ „ოტელომ" ახალი სიცოცხლე შეიძინა სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე. პირველად საბჭოთა სცენაზე ეს ოპერა 46 წლის წინათ დაიდგა და დიდხანს ამშვენებდა ჩვენს მთავარ თეატრის რეპერტუარს.

და აი, ოპერა „ოტელო" დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. პოკროვსკიმ. პრემიერაში დიდი წარმატებით გამოვიდა შემოქმედებითი ახალგაზრდობა, რომელმაც თავისი უფროსი კოლეგებისაგან მემკვიდრეობით მიიღო საუკეთესო საშემსრულებლო ტრადიციები. ოპერაში მთავარი პარტიები შეასრულეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აღზრდილებმა — სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტებმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ზურაბ სოტკილავამ (ოტელო), რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა მაყვალა ქასრაშვილმა (დეზდემონა). (საქინფორმი).

დიდთოვლობა

უკანასკნელი წლების მანძილზე რეკორდული რაოდენობის თოვლი მოვიდა იაბრის დამლევისათვის აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მთის რაიონებსა და კახეთში. ძაგალითად, თიანეთში თოვლის სიმაღლემ ნახევარ მეტრს, სიღნაღში — 22 სანტიმეტრს, ლაგოდეხში — 26, გურჯაანში — 25, თელავში — 24, საგარეჯოში კი 30 სანტიმეტრს მიაღწია. ასეთი დიდი თოვლი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აო ყოფილა ამ რაიონებში, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტის კ. ცხოვლიძისათვის მიცეულ ინტერვიუში საქართველოს სსრ პიდროეტეოროლოგიური სამსახურის საამპათველოს ინეილიასს ამბანდის ბიუროს პიდროლოგიური პროგნოზებია განყოფილების უფროსმა, გეოგრაფიის ძეცხიერებათა კანდიდატმა ლ. გეგელაშვილმა. — შარშანდელისაგან განსხვავებით, წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ნორმალურ ვადაზე რამდენადმე ადრე წარმოიქმნა თოვლის საფარველი. აქ. მთის რაიონებში თოვლის საფარველის სიმაღლემ იანვრის დამლევისათვის 30-50 პროცენტით გადააჭარბა საშუალო პრავალი წლის ნორმას. ჯვრის უღელტეხილზე თოვლის სიმაღლემ მიაღწია 160 სანტიმეტრს, რაც ნორმის 135 პროცენტს შეადგენს, ხოლო ბარისახოში — 65 სანტიმეტრს, რაც დროის ამ პერიოდისათვის ნორმაზე თითქმის ერთისამად ძეტია. ასეთი უხვი თოვლი აღმოსავლეთ საქართველოს მთაასა და ბარში ჩვენთვის, პროგნოზისტებისათვის, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გაზაფხულის პერიოდში მდინარეები წყალუხვი იქნება, თუმცა თებერვალმა შესაძლოა კორექტივები შეიტანოს პროგნოზში. (საქინფორმი).

✓ ჭიდაობა ● თბილისის საქართაშორისო

გადამწყვეტი შეხვედრების წინ

გუშინ სპორტის სასახლეში გრძელდებოდა თბილისის XVII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ღილით ჩატარებული ორთაბრძოლებიდან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრაზე მოგითხრობთ.

ქართველ ფალავანთაგან განსაკუთრებით გვინდა შეეჩერდეთ მალხაზ მერმანიშვილის ჭიდაობის მანერაზე. ეს ახალგაზრდა, მზარდი და უთუოდ ნიჭიერი მოჭიდავე უკვე კარგა ხანია ყურადღებას იპყრობს. სხვადასხვა რანგის ტურნირებში მას არაერთი წარმატება მოუპოვებია, მაგრამ ჩვენი სასაუბრო თემა ამჟამად ეს არ იქნება თვით ის ფაქტი, რომ იგი იმ წონითს კატეგორიაში (100 კგ) ასპარეზობს, სადაც ერთობ ძნელია გაუტოლო თავი ლევან თედიაშვილს, ივანე იარიგინს, ასლანბეკ ბისულთანოვს, უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ამ ახალგაზრდას აქვს რაღაც ისეთი, რაც აბედინებს სწორედ მათთან ჭიდილში ხალას ნიჭს ფართო გასაქანი მისცეს.

ყოველივე ეს იმით გამოიხატება, რომ მერმანიშვილი არ უშინდება მეტოქის ძალასა თუ დაბეჭილ ოსტატობას, იგი ერთთავად იერიშობს, სულ მცირედ, თითქმის შეუმჩნეველ ხელსაყრელ ვითარებაშიც კი ცდილობს ბრძოლიანი ბულის მოპოვებას. ჩვენი აზრით, ეს არის მომავლის მოჭიდავე, რომელსაც, ცხადია, ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობა დასჭირდება იმისათვის, რომ ადიარებულ ფალავნებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს.

პირველ წრეში მერმანიშვილმა შეძლო იმ მცირედი უპირატესობის პოვნა, რამაც მას საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან მაგომედ მაგომედოვთან გამარჯვება შოპოვებინა. გუშინ დილით კი მან კიდევ ერთი მეტოქე — რუმბინელი ვასილე კაშუ დამარცხა. ამავე წონაში ასპარეზობს სოხუმელი რაშ ხუტაბაც, მან ალექსანდრე გინკელთან შეხვედრაში ისახელა თავი: რაშს წმინდა მოკვეთილ ტექნიკა ჰქონდა, ოსტატურად ამოქმედებული ხელები, ფეხებზე ბრძოლა ეუფლებოდა. ეს ბიჭი ალბათ ბევრ ტურნირზე ასპარეზობს, ოსტატობა ეტყობა, ოსტატობა ეტყობა, ოსტატობა ეტყობა